

გაზეთი ბეჭდის, „ვერსიას“ ერთი

# ვერსია

**ფასი 50 თეთრი**




ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№10 (905) 10 - 11 თებერვალი, 2014 წელი



წლეველი  
თვითმპარტოვლოვის  
არჩევნები  
ამომრჩეველთა  
სურათებიანი  
სიით ჩაბარება?!

გვ. 5

რასი ეთანხმება თობიციას და რას  
პასუხობს ბრადებებზე ცესკო-ს  
თავმჯდომარე **თამარ ქვანი**

## მოსახლეობას იანვარში მოხარებული გაზის საფასურის ორჯერ გადახდა აღარ მოუწევს!

მისამართი ისანი, ცვარელის, შენ. 90ა, ბინა 8

მრიცხველი: 407276 ტარიფი: 0.456196 (მოსახლეობა)

| თარიღი     | ჩვენების ტიპი | ჩვენება  | კოეფ. | კუბ.მ. | თანხა  |
|------------|---------------|----------|-------|--------|--------|
| 04.12.2013 | ჩვენება       | 6.557.00 |       |        |        |
| 03.01.2014 | ჩვენება       | 6.975.00 | 1.00  | 418    | 190.69 |

სულ მიმდინარე დარიცხვა: 190.69  
ძველი დავალიანება: 127.63  
გადახდილი თანხა: 130.00  
სულ გადასახდელი: 188.32  
გადახდის ბოლო ვადა: 20.01.2014

მისამართი ისანი, ცვარელის, შენ. 90ა, ბინა 8

მრიცხველი: 407276 ტარიფი: 0.456196 (მოსახლეობა)

| თარიღი     | ჩვენების ტიპი | ჩვენება  | კოეფ. | კუბ.მ. | თანხა  |
|------------|---------------|----------|-------|--------|--------|
| 03.01.2014 | ჩვენება       | 6.975.00 |       |        |        |
| 24.01.2014 | ჩვენება       | 7.411.00 | 1.00  | 436    | 198.90 |


სულ მიმდინარე დარიცხვა: 389.59  
ძველი დავალიანება: 127.63  
გადახდილი თანხა: 319.00  
სულ გადასახდელი: 198.22  
გადახდის ბოლო ვადა: 10.02.2014

ინტერვიუ, რომელიც „ყაზტრანსგას“  
დაბარებულებმა აუცილებლად უნდა წაიკითხოთ!

### გივი ვასილის-ძე პროფესიას იცვლის



გვ. 3



თუა წუდუკიანის  
მინისტრობა  
წვიპზე ჰკიდია?!

გვ. 8-9

**რატომაა ავარიული იუსტიციის სახლი  
ხალხისთვის საშიში და სახელმწიფო  
მონაღაბისთვის უსაფრთხო**

რა კორუფციული ნიშნები  
იკვეთება მთაწმინდის  
გამგებობის მიერ გამოცხადებულ  
ელექტრონულ ტენდერებში

წელს, „ავროპიზაცია“,  
საქართველოს სახელით,  
მარიკო ებრაელი და  
ჯგუფი „შინი“ იმდარებენ

პროექტის – „იზრუნე მომავალზე“  
ფარგლებში, ფონდმა „ნაბახარნი“  
კონფერენსია გააერთა

დიტო გლოვანი

სადილი იმავდეს შეუკვეთეს და მაგიდასაც ახალი მსახური ემსახურებოდა. სადილი ათოსმა შეუკვეთა, ხოლო მსახური პორტოსმა მიუყვანა. სახელოვანმა მუშაკებმა ტურნელის ხიდზე შენიშნა ეს პიკარდიული ბიჭი, სახელად პლანში, რომელიც წყალში აფურთხებდა და უყურებდა, როგორ კეთებოდა ნრები წყლის ზედაპირზე. მუშაკებში იქვე გაურვიდა და და'რტანინს მიჰგვარა. პორტოსის აზრით, ამგვარი საქმიანობა ადამიანის სიმშვიდისა და შორსმჭვრეტელობის ნიშანი იყო. ამიტომ, ამით დაკმაყოფილდა და ყოველგვარი რეკომენდაციის გარეშე აიყვანა. (ალექსანდრე დიუმა, „სამი მუშაკური“)

ვინ იცის, რამდენი ასეთია პარლამენტში, მთავრობაში, საკრებულოებში, საჯარო სამსახურებში, სხვადასხვა ადმინისტრაციებში, სიპ-ებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში... ვინ იცის, ვინ სად იდგა და სად იფურთხებოდა, ვის აფურთხებდა და რატომ? ჩემი დაკვირვებით, ბევრი მათგანი იმ ხილიდან აფურთხებდა, ცირკის მახლობლად რომ მდებარეობს, ზოგი ნაცებში ვერ შეძერა და იმიტომ აფურთხებდა ნაცებს, ზოგი ჩუმად იყო, ახლა გამოძვრა ნაცებიდან, ჯერ ოცნებაში არ შემძვრალა და ნაცების ფურთხებით აპრავებს საკუთარ უბადრუკ წარსულს. ზოგი საერთოდ არ იფურთხებოდა, მაგრამ ახლა ამბობს, თქვენ სად იყავით, მე რომ ნაცებს ვაფურთხებდით, არადა ბუჩქები იჯდა, შიშით ნერწყვამშრალი...

ვინ იფურთხება მხრალი ხილიდან?



ნარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში, ზურაბ აბაშიძე („სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობით ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემებსაც ვემსახურებით“). მათ როგორც მივეციკლები ვინც სოჭის ოლიმპიადის ბიკორტირებას უჭერდა მხარს. ნავედით — ნავედით, მაგრამ ამდენი სისულელეების ლაპარაკს მაინც შევეშვათ? შედეგები, მედლები, გარანტიები...

მონიტორინგის ჯგუფების წევრების სახით ან უკიდურეს შემთხვევაში მოგვცეთ შესაძლებლობა, განვახორციელოთ სამინისტროს მიერ ჩატარებული მონიტორინგის პროცესზე დაკვირვება, მონიტორინგის შედეგად მოპოვებულ ემპირიულ მასალაზე სრული დამუშავისა და მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანი სამოქალაქო კონტროლის პირობებში“ — ნათქვამია მიმართვაში.

იცხოვრებს აქსენ პროვანსში და მას გარკვეული საათები განეახლება, როდის შეეძლება საცხოვრებელი სახლის დატოვება. რაც შეეხება გირაოს, ადვოკატისთვის უწყისი თანხა უცნობია, თუმცა აცხადებს, რომ ის „არც ისე დიდია“.

# გივი ვასილის-ქე პროფესიას იცვლის

გიორგი იაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ 2012 წელს ხელისუფლების ცვლილება განხორციელდა, 2013 წელს კი, თითქოს, კოჰაბიტაცია დასრულდა, ნაციონალური მოძრაობის წევრები ძველ დროს ვერა და ვერ ივიწყებენ და ისე იქცევიან, გეგონება, კვლავ ხელისუფლებაში არიანო. საქართველოს მოსახლეობის ნაწილი ამას ნაციონალთა თავხედობას აბრალებს, ნაწილი კი — ამჟამინდელი ხელისუფლების უნიათობას. რომელია სიმართლესთან უფრო ახლოს, თავად განსაჯეთ...



ისევ ვასილის დავებუბუნდეთ. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე მუშაობა არ უშლიდა ხელს „კანონიერ ქურდებთან“ მეგობრობაში. მას შემდეგ, რაც მისმა ხელისუფლებამ „კანონიერი ქურდები“ საქართველოდან განდევნა, მათ სანახავად გივი ხან უკრაინაში დადიოდა, ხან ბულონურში და, წინასაარჩევნოდ, საქმეებსაც აგვარებდა — უკან ფულიც მოჰქონდა და ქურდების სიტყვაც. მართალია, ამას ოფიციალურად არავინ აღიარებდა, თუმცა თავად ვასილის არაერთხელ უტრაბახია, რომ კრიმინალურ სამყაროში სიტყვა ეთქმოდა.

გარდა ამისა, თარგამაძე ის კაცი, ყველა დაშვებულ თუ დაუშვებულ გადანყვებულში უშუალოდ რომ მონაწილეობდა და უკმაყოფილება იმით გამოხატა, ბოლო დროს გავრცელებულ სკანდალურ კადრებში, სადაც მერაბიშვილი გვამებს ითხოვს, თავად არ ჩანს. ვასილიძე დანაშაულებით აღნიშნა, მეც ვიყავი იქ, მაგრამ არ ვჩანვარო. გამოაჩინეთ, ბატონებო, გამოაჩინეთ... არ არის თარგამაძე დასამალი და უკანა პლანზე გადასაწვეი კაცი!

დასასრულ, რუსული კინემატოგრაფიის კლასიკა — „ივან ვასილის-ძე იცვლის პროფესიას“ — ხომ გაქვთ ნანახი? დიდი ალბათობით, ეს ფილმი ვასილიძემაც ნახა და პარალელები გაავლო. მერე, ისევ „მეფობა“ მოუნდა, მერე, დეკლარაციის შევსების დროც მოვიდა და... ამ ფილმის ბოლოსკენ არის ფრაზა: „ი ტებია ვილჩატი, ი მენია ვილჩატი“... ახლა კი ვაბრაზდებო ბატონი გივი, ოკუპანტების ენაზე რატომ მელაპარაკებო, მაგრამ ქართული თქვენ არ გესმით („ეტა რაზ“!), 9 წელი სიძულვილის ენით გვესაუბრებოდით („ეტა დვა“) და მკურნალობა რომ გჭირდება, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს („ეტა ტრი“).

**P.S. დაახლოებით, სამი წლის წინ, გიორგი ბარამიძემ განაცხადა, მუამაყება, გივი თარგამაძე ჩემი მეგობარი და თანამებრძოლი რომ არისო. ვასილიძე, ხომ გაგიგია, მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენო... ჰოდა, გინდა ახლა, სახალხოდ „დაჩმორებული“ ბარამიძე მეგობრად?**

ბოლო დროს, გივი თარგამაძე გააქტიურდა. მისი უკვდავი ფრაზა — „სულს ამოგხდით, თქვე ნაძირლებო“, — ლამის საქართველოს თითოეულ ოჯახზე აისახა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვასილიძე არ ცხრება და არ მალავს, რომ მასა და მის გუნდს კვლავ სურს ხელისუფლებაში დაბრუნება, თუმცა, რა დაბრუნებაზეა საუბარი — თარგამაძემ ჯერ არც იცის, რომ ხელისუფლებიდან წასულია!

მის მიერ 2013 წლის 7 მაისს შევსებულ ქონებრივ დეკლარაციაში საინტერესო თითქმის არაფერია — გივის არ აქვს ფული, არ აქვს ფასიანი ქაღალდები და, რეალურად, მისი ქონება არაფრით განსხვავდება რიგითი ადამიანის ქონებისგან. როგორც ამბობენ, ქონებრივ დეკლარაციაში ნათესაობისა და, განსაკუთრებით, სიდედრის ქონებაც რომ იწერებოდა, გივი ვასილიძის შემოსავალი მილიონებს მიუკაკუნებდა, მაგრამ ეს „საქმე“ თარგამაძეს ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვებით აქვს გამაგრებული: „ცოლის ნათესავი ნათესავად არ ითვლება“.

სამაგიეროდ, ვასილიძე დეკლარაციაში დიდი ასოებითა და სასოებით უწერია საკუთარი თანამდებობა — პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე. როგორია?! უფრო სწორედ, რავარია?!

თავიდან ვიფიქრე, გივის ჩაეძინა, ფერადი სიზმარი ნახა და, ალბათ, ის სიზმარი გადაიტანა დეკლარაციის ფურცლებზე-მეთქი; მერე ისიც ვიფიქრე, დათვრა, პარლამენტის წინ დადგა და ბოლო ხმაზე ყვიროდა, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვარ, გამოდით, უნდა დაგთვალოთო... „ქართული ოცნების“ წევრები არ გამოსულან, ნაციონალური მოძრაობის წევრების დათვლას კი რა დიდი ანგარიში უნდა, ხელისა და ფეხის თითები საკმარისია (ვის ხელის თითებზე დათვლის და ვის ფეხისაზე, ეს ვასილიძის გადასაწყვეტია), თუმცა სიმართლე შემთხვევით გავიგე:

ნაციონალური მოძრაობის წევრები დეკლარაციებს მარტივად ავებდნენ: წინა დეკლარაციას თარიღს უცვლიდნენ და დანარჩენს უცვლელად ტოვებდნენ, რადგან არავინ არაფერს ედავებოდა და არავინ არაფერს ეკითხებოდა. ჩვეულება კი, მოგეხსენებათ, ურჯულთათვისაც, რჯულზე უმტკიცესია და აჰა, შედეგიც — ვასილიძე თავს კვლავ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ მიიჩნევს. თუ ამ ლოგიკას გავყვებით, დავით ბაქრაძე ისევ პარლამენტის თავმჯდომარე უნდა იყოს (ახლანდელ თავმჯდომარესაც დავითი ჰქვია და დიდი რამე, გვარი თუ არ ემთხვევა, ხასიათითა და ქცევით განსხვავება არ ჩანს), ვანო მერაბიშვილი — პრემიერი, ბაჩანა ახალაია — მინისტრი და მიშა...

ეჰ, მიშა, მიშა...



## თიბისი ბანკს „გუდვილის“ რეაბილიტაციის მმართველის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. ამ პოზიციაზე განიხილებოდა კანდიდატი, რომელიც ცოტა ხნის წინ დასახელდა „გუდვილის“ კრედიტორების ძირითადი ნაწილის მიერ.

ალსანიშნავია, რომ თიბისი ბანკს რეაბილიტაციის მმართველის პოზიციაზე საკუთარი კანდიდატი არ წამოყენებია. იგი დათანხმდა დანარჩენი კრედიტორების მიერ დასახელებულ კანდიდატს, ზურაბ ვანიშვილს. შაბათს გამართულ სხდომაზე ვანიშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს „გუდვილის“ მსხვილმა კრედიტორებმა — „ოკოა-კოლამ“, „პეკსიმ“, კომპანია „ბაგრატიონმა“ და სხვ.

თუმცა, სასამართლომ ზურაბ ვანიშვილის კანდიდატურა კენჭისყრიდან მოხსნა, ვინაიდან ვანიშვილი ადრე წარმოადგენდა ერთ-ერთ კრედიტორს (კომპანია „იბერია რეფრემენტს“), რამაც, სასამართლოს აზრით, შესაძლოა, ხელი შეუშალოს მიუკერძოებელი და ნეიტრალური რეაბილიტაციის მმართველის ფუნქციების შესრულებაში.

რაც შეეხება მეორე წარმოდგენილ კანდიდატურას, კომპანია PKF-ს, მას მხარი არ დაუჭირეს კრედიტორებმა, ვინაიდან ეს კანდიდატურა, რეალურად, წარდგენილ იქნა თავად კომპანია „გუდვილის“ მიერ და მისი უფლებამოსილებები იმგვარად იყო განსაზღვრული, რომ შენარჩუნებულიყო „გუდვილის“ დამფუძნებლის, გიორგი შვეარდნაძის სრული გავლენა კომპანიის მიმდინარე საქმიანობაზე, რაც ეწინააღმდეგება კრედიტორების კანონიერ ინტერესებს.

შესაბამისად, შაბათის სხდომაზე ვერ მოხდა რეაბილიტაციის მმართველის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. შემდეგი სხდომა სამშაბათს გაიმართება, სადაც სასამართლო რეაბილიტაციის მმართველის ახალ კანდიდატურებს განიხილავს.

თიბისი ბანკი მხარს დაუჭირს ისეთ კანდიდატურას, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის საქმიანობის სათანადო კონტროლს და გამოირიცხავს „გუდვილის“ დამფუძნებლის თვითნებობას.

„ვერსიანიუსი“



## რეზო ჩხეიძე პრეზიდენტს თხოვნით მიმართავს

ცნობილი კონორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ საქართველოს პრეზიდენტს წერილით მიმართა.

„უმორჩილესად გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თქვენი გამოსვლა პარლამენტში გახდეს კიდევ ერთი შესვენება ჩვენი კანონმდებლებისთვის ბავშვების, ქალბატონებისა და მოხუცების, წინა ხელისუფლების უსამართლობისაგან უცხოეთში გახიზნულთა სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხისა“, — ნათქვამია წერილში.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის დეკემბერს რეზო ჩხეიძემ უკვე მიმართა საქართველოს პრეზიდენტს წერილით, რომელშიც ცნობილი რეჟისორი, მშვიდობის ელჩი წერდა, „ჩემი პოზიცია, გნებავთ, ჩემი ხვეწნა-მუდარა თქვენდამი, საერთოდ ხელისუფლებისადმი, რომ 16 წლამდე ასაკის მოზარდი, 70 წელს გადაცილებული მამაკაცი, 65 წელს გადაცილებული ქალი, საერთოდ ქალბატონი, რომელთაც არ ჩაუდენიათ ქვეყნისთვის სამიში ან ადამიანის სიცოცხლის ხელმყოფი დანაშაული, გათავისუფლდნენ სასჯელის მოხდისგან“.

„მედიაიუსი“





მაია მიხელაძე
593-51-90-12
მას შემდეგ, რაც „ვერსიაში“ გამოქვეყნდა სტატია, თუ როგორ აპირებდა კომპანია „ყაზტრანსგაზთბილისი“, მომხმარებლისთვის ინვარში გაზის გადასახადი ორჯერ გადაეხდებინა, რედაქციაში აღშფოთებული მოქალაქეების ზარები არ წყდება.

მოსახლეობას იანვარში მოხმარებული გაზის საფასურის ორჯერ გადახდა აღარ მოუწევს!

სამგორი, თრიალეთის, შენ. 36ა საინფ. ტ: 276-54-33
ქვითარი 19092126
აზონ. N: 438056-494
სახელი მეგრულიშვილი
მისამართი ისანი, ყვარულის, შენ. 90ა, ბინა 8

სამგორი, თრიალეთის, შენ. 36ა საინფ. ტ: 276-54-33
ქვითარი 19461482
აზონ. N: 438056-494
სახელი მეგრულიშვილი
მისამართი ისანი, ყვარულის, შენ. 90ა, ბინა 8

ინტერვიუ, რომელიც „ყაზტრანსგაზთბილისის“ დაბრუნებულმა აუცილებლად უნდა წაიკითხოს!

— ქალბატონო ნინო, თბილისის მოსახლეობაში პანიკა... რა ტიპის პრობლემები გამოიკვეთა, რის გამოც, მომხმარებელი „ყაზტრანსგაზთბილისის“ უჩივის?

კონკრეტულად რომ გითხრათ, გადასახადი უნდა დაფარონ, მაგრამ არა 10 თებერვლამდე, რასაც „ყაზტრანსგაზთბილისი“ ითხოვს, არამედ, თვის ბოლომდე.

— განიხილავთ თუ არა შესაძლებლობას, რომ მოქალაქეებმა, რომლებმაც იანვარში გაზის ორმაგი გადასახადი გადაიხადეს, „ყაზტრანსგაზთბილისს“ თანხა უკან დაუბრუნოს, ან შემდეგი თვის გადასახადიდან გამოიქვითოს?

პრობლემები ორი მიმართულებით გამოიკვეთა — ერთი, მომხმარებლებს 2014 წლის იანვარში ბუნებრივი აირის გაზრდილი გადასახადი მიუყვება, რაზეც „ყაზტრანსგაზთბილისის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ 2013 წლის დეკემბერში, ახალი წლის წინა დღეებში გაზარდული გაზის ჩვენება იმიტომ ვერ აიღეს, რომ მრიცხველები სახლებშია და ამის გამო, მომხმარებლებს, 2014 წლის იანვარში ორი თვის გადასახადი დაერიცხათ.

„ყაზტრანსგაზთბილისის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის განმარტებით, იანვარში ანათვალს ორჯერ იმიტომ იღებენ, რომ წლის ბოლოს ზუსტი მონაცემები სჭირდებათ, რათა მიმდინარე წელი დახურონ და გადასახადს საშუალო არითმეტიკულით ვერ გამოითვლიან, მაგრამ რა პრობლემაა, მოსახლეობამ გაზის ტარიფი დეკემბრის ბოლოს გადაიხადოს და იანვრის ბოლოსაც?

— არა, ამ საკითხზე არ გვიმსჯელოთ, რადგან ამ შეკითხვით ჩემთვის არავის მოუმართავს და არც საჩივარი შემოსულა. ზოგადად, გადახდილი თანხა სადაო არ არის, რადგან მოსახლეობამ გაზრდილი გადასახადი იმ მიზეზით გადაიხადა, რომ კომპანიის წარმომადგენლებმა ანათვალის არასწორად აიღეს და შესაბამისად, გაზის გადასახადის გადახდის ვადა, ქვითარზე არასწორად იყო მითითებული.

— თუ კომპანია სტატისტიკას ვერ აკეთებს და საგადასახადოში დოკუმენტს ვერ წარადგენს, მისი პრობლემაა და არა მომხმარებლის — კომპანიამ, წელს თუ ვერ ზურავს ან საგადასახადოში ანგარიშგაქტურის წარდგენის პრობლემაა აქვს, ამის გამო მომხმარებელი არ უნდა დააზარალოს.

— ბოლო დროს შექმნილი პრობლემების გამო, კონკრეტულად, რა სურათი მიიღეთ, რა შთაბეჭდილება შეგექმნათ?

— რა კონკრეტული მითითებები მიეცით სხდომაზე „ყაზტრანსგაზთბილისის“ წარმომადგენლებს?

— კომპანიის ახსნა-განმარტება აბსურდულია, ეს გაუგებრობა თქვენ როგორ ავიხსნენ?

— „ყაზტრანსგაზთბილისის“ მომხმარებელთან სხვა პრობლემებიც აქვს. ბოლო დროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება გახშირდა, ძალიან ბევრი ოქმი იწერება ბუნებრივი აირის უკანონო მოხმარებასთან დაკავშირებით...

— თქვენს კოლეგას, ვანო პავლიაშვილს უთხრეს, თქვენთან ჩვენების ალბათ იმიტომ ვერ მოვახერხეთ, რომ მრიცხველი სახლში გაქვთო. აღმოჩნდა, რომ ვანოს და, სხვათა შორის, ბევრი მომხმარებლის მრიცხველიც გართათა და შესაბამისად, „ყაზტრანსგაზთბილისის“ წარმომადგენლებს ჩვენების ალბათს პრობლემა არ უნდა შექმნიდათ.

— ის მომხმარებლები როგორ უნდა მოიქცენ, რომლებსაც მრიცხველების გარეთ გატანაში თანხა უკვე გადახდევინეს?

პერსონალიზი

ბიძინა ივანიშვილი: „პერსონალიზი უნდა, მსოფლიო ფეხზე დააყენოს, რომ მთავარმა პროკურორმა მოიხატა — რა უნდა მერა, გააუპატიურა?!“

სამოქალაქო ორგანიზაცია „მოქალაქის“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი მთავარი პროკურორის მიერ კამერადან ვანო მერაბიშვილის გატაცების ბრალდებას აბსურდს უწოდებს. „ძირითადი თემა, რითაც დღეს საზოგადოებას აწვებიან, გართულონ თუ შევინოთ, ისაა, რომ მთავარმა პროკურორმა კამერადან მოიტაცა ბრალდებული მერაბიშვილი.



ეს თანხა ერთდროულად არ მოგივია. წლის ბოლოს ანგარიშს ვაქვეყნებთ, რომელშიც ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოა ასახული. პროცედურა ასეთია: მომხმარებლები მოგვმართავენ განცხადებით, რომელსაც განვიხილავთ, ზოგ შემთხვევაში, ვაკმაყოფილებთ სარჩელს, ზოგ შემთხვევაში არა. „ყაზტრანსგაზთბილისის“ მხლოდ წელს 100 000 ლარამდე ჩამოვანერინეთ სხვადასხვა ტიპის გადასახადი, რაც მომხმარებლებს უკანონოდ დაარიცხეს.

# პროექტის — „იზრუნე მომავალზე“ ფარგლებში, ფონდმა „ნატახტარი“ კონფერენსია გააერთიანა

ფონდმა „ნატახტარი“ და ასოციაციამ „ჩვენი სახლი — საქართველო“, 7 თებერვალს, სასტუმრო „რედისონში“, პროექტის — „იზრუნე მომავალზე“ — ფარგლებში, კონფერენცია გამართა. „სოციალური პასუხისმგებლობა ბავშვზე ზრუნვის სფეროს განვითარებისთვის“, პარასკევს გამართული კონფერენციის მთავარი თემა მზრუნველობამოკლებული ბავშვებისა თუ ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაცია და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების ხელშეწყობა, მიზანი კი სხვადასხვა სექტორის შორის, ინფორმაციის გაცვლა იყო.

კონფერენციაში, რომელიც საკმაოდ საინტერესო, აქტიური და მნიშვნელოვანი გამოდგა, ბავშვზე ზრუნვის სფეროში მომუშავე საჯარო უწყებების, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე მსხვილი ბიზნესკომპანიებისა და მედიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. კონფერენცია სამ ძირითად კომპონენტად გაიყო: პირველ ნაწილში, ფონდი „ნატახტარის“ და ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოს“ წარმომადგენლებმა ამ სფეროში არსებული ვითარება მიმოიხილეს და პრობლემებზე ისაუბრეს; მეორე ნაწილში სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მზრუნველობამოკლებული ბავშვებისა და ახალგაზრდების პრობლემების დაძლევისათვის დაკავშირებულ პროექტებზე ისაუბრეს; მესამე ნაწილი კი ამ სფეროში არსებული პრობლემების მედიამში გაშუქების საკითხებს მიეძღვნა, რომლის დროსაც დისკუსია გაიმართა.

კონფერენციის სამივე ნაწილში გამოთქმულ პრობლემებსა და ოთხივე სფეროს წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციის აუცილებლობაზე, „ვერსიას“ კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის სამსახურის უფროსი, **თორნიკე ნიკოლაიშვილი** ესაუბრა.

— მას შემდეგ, რაც ფონდი „ნატახტარი“ მზრუნველობამოკლებული ბავშვებისა და ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრირების მიზნით, პროექტს — „იზრუნე მომავალზე“ ახორციელებს, რა ძირითადი პრობლემები გამოიკვეთა?

— ზოგადად, ეს სფერო და ეს მიმართულება პრობლემატური. კონფერენციის მთავარი მიზანი სწორედ ამ ხედვების, აზრებისა და გამოცდილების გაზიარება, ამ პრობლემებზე საუბარი და კომუნიკაციის სწორად აწყობა იყო. კომუნიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ხშირად სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების გადაფარვა ხდება, არსებობს აუთვისებელი მიმართულებები და, რაც მთავარია, დაგროვდა კითხვები, რომლებსაც პასუხი უნდა გაეცეს. ამიტომ ვესწრებით ამ კონფერენციას ოთხი სფეროს — ბიზნესსექტორის, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარ-

### სოციალური პასუხისმგებლობის საკითხში, სამთავრობო, არასამთავრობო და ბიზნესსექტორის შორის კომუნიკაცია შედგა

მომადგენლები. გამოიკვეთება ის კონკრეტული საკითხები, რომლებზეც, შესაძლოა, უფრო ვინაო, მიზნობრივი სამუშაო ჯგუფი შეიქმნას, რათა კონკრეტულ პროექტებზე დავინყოთ მუშაობა... რადგან პრობლემებზე ვსაუბრობთ, ერთ-ერთი პრობლემა ის, რომ ამ საკითხებზე ბევრი ორგანიზაცია მუშაობს, მაგრამ მათ შორის კომუნიკაცია არ არსებობს, ამიტომ ფონდი „ნატახტარის“ ინიციატივით, გაიმართა ასეთი ტიპის კონფერენცია და იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი შეხვედრა, მართლაც, ნაყოფიერი გამოდგა, აუცილებლად გაგრძელდება.

— გარდა იმისა, რომ ამ კონფერენციაზე ოთხი სფეროს წარმომადგენლებს შორის კომუნიკაცია შედგა, კიდევ რას ელით ამ შეხვედრისგან?

— სხვადასხვა ორგანიზაციას საკუთარი მიზნები გააჩნია, მაგრამ ამ მიზნების, რესურსების კონსოლიდაციას მნიშვნელოვანი და რესურსებში მხოლოდ მონეტარულს არ ვგულისხმობ — საუბარია ადამიანურ რესურსებზე, გამოცდილებაზე და ამ ყველაფრის კონსოლიდირებით უკეთ გაკეთდება საქმე. ზოგადად, ეს იდეაც მუშაობის პროცესში გაჩნდა, როდესაც გარკვეულ პრობლემებს წავაწყდით, კერძოდ, სხვადასხვა ორგანიზაციას ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, ინფორმაცია არ ჰქონდა. სახელმწიფო მზრუნველობამოკლებული ბავშვებზე ზრუნვას ასრულებს მაშინ, როდესაც მოზარდები სრულწლოვნები ხდებიან, ფონდი „ნატახტარი“ კი ამ მხრივ, უფრო მოქნილია და ამ კატეგორიის ბავშვებზე ზრუნვას მხოლოდ მაშინ ასრულებს, თუკი ზრდასრული ან მოზარდი მზადაა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

„ვერსია“ დაინტერესდა, რამდენად მზადაა ბიზნესსექტორი, ის მზრუნველობამოკლებული მოზარდები და ახალგაზრდები დაასაქმოს, რომლებიც ფონდი „ნატახტარისა“ და ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოს“ დახმარებით, სხვადასხვა პროფესიას დაეუფლნენ. კომპანია „ვისოლ ჯგუფის“ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის უფროსმა, **რუსუდან კვიციანიშვილმა** „ვერსიას“



თორნიკე ნიკოლაიშვილი

განუცხადა, რომ კომპანია უკვე ახორციელებს სოციალურ პროექტს ფონდ „იავნანასთან“ ერთად:

„ჩვენივე საამაყო ამ ღონისძიებაში მონაწილეობა. რაც მეტი მსხვილი ბიზნესი იაქტიურებს საზოგადოების კეთილდღეობისთვის, მით უკეთეს გარემოში ვიცხოვრებთ და ერთად შევქმნით უკეთეს მომავალს. „ვისოლ ჯგუფს“ თავად აქვს ძალიან ბევრი პროექტი ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდების დახმარების მიმართულებით. ყველაზე მსხვილი პროექტია ფონდ „იავნანასა“ და „ვისოლ ჯგუფის“, რადგან 2004 წლიდან, ჩვენი კომპანია ყველა იმ პროექტს უჭერს მხარს, რომელსაც „იავნანა“ ახორციელებს. უკვე ათასობით ბავშვსა და ასობით ოჯახს აქვს შესაძლებლობა, უკეთეს გარემოში იცხოვროს და განვითარდეს. შესაძლოა, ფონდ „ნატახტართან“ უფრო მჭიდროდ თანამშრომლობის ხერხები ვერ მოვიფიქროთ, მაგრამ, შესაძლებელია, მათი ბენეფიციარები ჩვენი ბენეფიციარებიც გახდნენ“.

„ვერსიას“ კომპანია „წყალი მარგებელის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი **ვიქტორია შიშკო** ესაუბრა:

„ჩვენი კომპანია მზადაა, ფონდ „ნატახტარს“ გვერდით დაუდგეს. მზრუნველობამოკლებული ბავშვებისა თუ მოზარდების დასაქმებასა და განვითარებას მივესალმებით. სასურველია, ამ ტიპის შეხვედრები უფრო ხშირად გაიმართოს, რათა ბიზნესსექტორში მეტად გავრცელდეს ინფორმაცია და გაცილებით მეტმა კომპანიამ აღმოუჩინოს დახმარება ამ ბავშვებს“.

განათლების სამინისტროს წარმომადგენლის, **ეკატერინე ღვინია** განცხადებით, ბავშვებსა და მოზარდებზე ზრუნვისას, განათლება აუცილებელია, რათა, მომავალში, მათ სწორი არჩევანი გააკეთონ. მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ბავშვები სახელმწიფომ, საზოგადოებამ, ბიზნესმა განათლების ერთიანი სისტემის ნაწილად უნდა მოიაზროს.

მაია მიშელაძე

## პერსონალიზი

### თურქეთს, ავარიის გამო, გაქო-თბილისი-ერზურუმის მილსადენით გაზი აღარ მიწოდება



სენგაჩალის ნავთობისა და გაზის ტერმინალზე მომხდარი ავარიის შედეგად, აზერბაიჯანმა თურქეთს გაზის მიწოდება შეუჩერა, — წერენ აზერბაიჯანული და თურქული საინფორმაციო სააგენტოები. როგორც ტერმინალში აცხადებენ, ავარიის გამომწვევი მიზეზების ლიკვიდაციაზე უკვე მუშაობენ, ბუნებრივი აირის მიწოდება კი უახლოეს დღეებში აღდგება.

თურქეთი გაზს აზერბაიჯანული საბადოს, „შაჰ-დენიზისგან“ იღებს, რომელიც სამხრეთ კავკასიის (ბაქო-თბილისი-ერზურუმის) მილსადენის საშუალებით, საქართველოს გავლით მიწოდდება. შესაბამისად, ჩვენი ბიუჯეტი სატრანზიტო მოსაკრებელს იღებს. კონტრაქტის მიხედვით, შაჰ-დენიზის პროექტის ამუშავების პირველი სტადიიდან, თურქეთი 6,6 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიიღებს, ხოლო მეორე სტადიის დაწყების შემდეგ — დამატებით კიდევ 6 მილიარდ კუბურ მეტრს.

„ბი პი ენი“



### შემოსავლების სამსახურს ირაკლი გვარამაძე უხელმძღვანელებს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს ახალი უფროსი ჰყავს. როგორც შემოსავლების სამსახურში იუწყებიან, 7 თებერვლიდან უწყებას ირაკლი გვარამაძე უხელმძღვანელებს. გვარამაძემ აღნიშნულ თანამდებობაზე ლაშა ხუციშვილი შეცვალა, რომელიც საქმიანობას, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე გააგრძელებს.

ირაკლი გვარამაძე, შემოსავლების სამსახურის უფროსად დანიშნამდე, ამავე სამსახურის დაგების დეპარტამენტის უფროსი იყო. ახალ ხელმძღვანელს დამთავრებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

„ბი პი ენი“

### ლარი გაყარდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ორი დღის წინ გამართულ სავალუტო აუქციონზე, 20 000 000 აშშ დოლარი შეისყიდა. საშუალო შენონილმა გაცვლითმა კურსმა 1.75 შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ლარი ერთბაშად, 163 პუნქტით გაყარდა და 14 იანვრის მაჩვენებელზე შეჩერდა.

აღსანიშნავია, რომ გასულ კვირას, ეროვნულმა ვალუტამ, დოლართან მიმართებაში, დაკარგული პოზიციები დაიბრუნა. ნოემბრიდან ლარმა ეტაპობრივი დეველვაცია განიცადა და პიკს 21 იანვარს მიაღწია. საგულისხმოა ისიც, რომ ეროვნულმა ბანკმა, გასული წლის სექტემბრის შემდეგ, სარეზერვო ვალუტა ორი დღის წინ, პირველად შეისყიდა. აქამდე კურსის შესანარჩუნებლად, მას დოლარის გაყიდვა უწევდა, საბოლოო ჯამში კი 440 000 000 აშშ დოლარის ინტერვენცია განახორციელა.



„ბი პი ენი“







მე-8 გვერდიდან

როგორც ამბობენ, შენობის წინა ნაწილის ჩამონგრევის საშიშროებაა. ახლა შეგნით შევალ და ყველაფერს გავაკვირებ...

დაპირების მიუხედავად, შენობაში შესვლის შემდეგ, ირაკლი გაფრინდაშვილმა ტელეფონზეც აღარ მიპასუხა.

იუსტიციის სახლის იმ ნაწილისკენ გავემართე, სადაც მოქალაქეებსაც იღებენ. ერთ ოთახში, კომპიუტერებთან წრიულად მსხდომ თანამშრომლებს არაფერი ეტყობათ...

ავარიულად გამოცხადებულ შენობაში საქართველოს ეროვნული ბანკიცაა განთავსებული, რომელიც, ინციდენტის მიუხედავად, ყოველგვარი შეფერხების გარეშე მუშაობს.

ამ „ექსკურსიის“ შემდეგ, იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელ მარიამ სხილაძეს დავუკავშირდი...

თქვენი წინააღმდეგობა

საერთოდ, ბოლო დროს იუსტიციის სამინისტრო, უფრო სწორად, მინისტრი თუ ნულუკიანი ერთობ უცნაურად იქცევა. ყველაფერს თავი რომ დაეცემოდა, 2013 წელს სამინისტროს მიერ განუქმდებელი საწინააღმდეგო...

სხვათა შორის, არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ დამფუძნებელს, ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილს „მოქალაქის“ პრეზენტაციაზე კითხვა ნულუკიანის მიერ...

მუშაობენ და, დიხაბც, ახალ წელს პრემიები ეკუთვნოდათ.

ქალბატონო თუა, ჩვენც, რიგითი მოკვდავები, ანუ ისინიც ვმუშაობთ, ვისი წყალობითაც ხელისუფლებაში მოხვედით...

სხვათა შორის, ხელისუფლებაში „ოცნების“ მოსვლის პირველ ეტაპზე თუა ნულუკიანი მინისტრთა იმ სამუელში იყო, ვისაც ხალხი ენდობოდა...

საერთოდ, თუა ნულუკიანის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენა უცნაურად მოხდა — ევროსაბჭოს შტატიანი მოსამართლე, რომელსაც, როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში თავად...

მართალია, პოლიტიკაში გამოჩენისთანავე, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მისი ერთ-ერთი საყრდენი ძალა, რესპუბლიკურ პარტიასთან ერთად, ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდიც იქნებოდა...

მოახერხეს თუ არა ვიღაც-ვიღაცებმა ნულუკიანისა და ივანიშვილის ურთიერთობის გაფუჭება? — ამ კითხვაზე დასაბუთებული პასუხი არ არსებობს...

იმ შემთხვევაში, თუ ნულუკიანი იუსტიციის სახლს, რომელშიც სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები უპრობლემოდ მუშაობენ და, რომელიც მოქალაქეებისთვის...

ასეა თუ ისე, იუსტიციის სახლი თუა ნულუკიანისთვის, როგორც იუსტიციის მინისტრისთვის, „მძიმე ჯვარია“.



მთავრობამ სიფრულ მათხელობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმა დაამტკიცა

სამოქმედო გეგმითა და რეკომენდაციებით გათვალისწინებულია მათხელობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონებში შესატანი ცვლილებების საკითხები...

დოკუმენტი ასევე მოიცავს ლია კონკურსისა და ხუთი მულტიპლექს პლატფორმის საკითხებს, რომლის მიხედვით, კონკურსის ფარგლებში ხელმისაწვდომი გახდება...

ასევე განსაზღვრულია ლია კონკურსის მოდელი, მულტიპლექს პლატფორმების მშენებლობის ვადები და სისხიურული რესურსის მფლობელი პირების ვალდებულებები.

სამოქმედო გეგმა საზოგადოებრივი მათხეობისთვის განკუთვნილი ციფრული მინისზედა სამათხეობლო ქსელის უზრუნველყოფას, ადგილობრივი მათხეობლობის ხელშეწყობასა და პარალელური მათხეობლობის პერიოდსაც ითვალისწინებს.

გარდა ამისა, სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 ათასზე ნაკლებია, „სეთ თოფ ბოქსებით“ (სამომხმარებლო მონყობლობები) სახელმწიფო უზრუნველყოფს.

ციფრულ მათხეობლობაზე გადასვლის სამუშაოებს კოორდინაციას ციფრული მათხეობლობის სააგენტო გაუწევს.

„ანალოგური მინისზედა მათხეობლობიდან ციფრულ, მინისზედა სატელევიზიო მათხეობლობაზე გადასვლა სახელმწიფო მნიშვნელობის ფართომასშტაბიან რეფორმას წარმოადგენს, რომელიც მთავრობის მიერ განსაზღვრული სამოქმედო გეგმისა და რეკომენდაციების შესაბამისად განხორციელდება“ — განმარტავენ ეკონომიკის სამინისტროში.

ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირისა და ევროკავშირის შესაბამისი აქტების თანახმად, ევროპაში, მათ შორის საქართველოში, ციფრულ მათხეობლობაზე გადასვლა 2015 წელს უნდა დასრულდეს.

„ინტერპრესნიუსი“



ევრომაიდან 22 აქტივისტი დაკარგულა

„ევრომაიდან SOS“-ის ინფორმაციით, ამ დროისთვის ევრომაიდან 22 აქტივისტი დაკარგულია. უკრაინული მედიის ინფორმაციით, მათთან ყველანაირი კავშირი განწყვეტილია და ახლობლები ვერსად პოულობენ.

ამასთან დაკავშირებით, საერთო უკრაინული გაერთიანება „სვობოდა“ შესაბამის სამძებრო ჯგუფს ქმნის, რომელიც დაკარგული აქტივისტების ძებნით იქნება დაკავებული.

შეგახსენებთ, რომ ადრე გავრცელებული ინფორმაციით, უგზოუკვლოდ დაკარგულად ევრომაიდან 40 აქტივისტი ითვლებოდა.

„ჯი-ეიჩ-ენი“



# წელს, „ევროვიზიაზე“, საქართველოს სახელით, მარიკო ებრალიძე და ჯგუფი „შინი“ იმსახურებენ



**მანი გავიტიანი**  
597-39-99-42

**მომღერალი მარიკო ებრალიძე და ჯგუფი „შინი“ მასწავლებლის წინაშე ერთად წელს დანიამი, „ევროვიზიის“ ყოველწლიურ მუსიკალურ ფესტივალზე წარსდგებიან. წლევედელი კონკურსის დევიზია „შემოგვიერთდით ევროვიზიაზე“... „ვერსია“ დაინტერესდა, არსებობს თუ არა შანსი, გავიმარჯვოთ და 2015 წელს კონკურსს საქართველომ უმასპინძლოს?**

**ნათია უზნაძე, საზოგადოებრივი მაუწყებლის „ევროვიზიის“ პროდიუსერი:**

— საზოგადოებრივ მაუწყებელს რთული გადანაცვებების მიღება უნდა, რადგან „ევროვიზიაზე“ წარსდგენ მომღერლებს თავად ასახელებს. წელს ასეთი არჩევანი იმიტომ გაკეთდა, რომ „შინი“ პოპულარული ჯგუფია, საქართველოს საზღვრებს გარეთ მოღვაწეობს, იცნობენ და, რაც მთავარია, სერიოზულ მუსიკას ქმნის. რაც შეეხება მარიკოს, გვჭირდება ნიჭიერი, ლამაზი მომღერალი და ჩვენი ფავორიტი ჯგუფის წევრებმაც დიდი სიხარულით მიიღეს, თუმცა მარიკო „შინის“ სოლისტი მხოლოდ „ევროვიზიაზე“ იქნება.

— **საკონკურსო სიმღერა უკვე შექმნილია?**

— არა, ახლა იქმნება.

— **მიუხედავად იმისა, რომ ამ კონკურსისთვის ძალიან დიდი თანხა იხარჯება და გამარჯვებისთვის მაქსიმუმი კეთდება, წარმატებისთვის ჯერ არ მიგვიღწევია, ნათია, ამას რით ხსნი?**

— ვფიქრობ, წარმატებაა, „ევროვიზიაში“ რომ ვმონაწილეობთ და პროფესიონალი ჟიურისგან ქართველ წარმომადგენელს ყოველთვის მაღალი შეფასება აქვს. ისიც საამაოა, რომ პრესისა და ხუთი ათასი მსმენელის ფავორიტი ხარ და 8-წლიანი ისტორიის განმავლობაში, მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როცა საქართველო ფინალში ვერ მოხვდა. საერთოდ, ესაა კონკურსი, სადაც ვერაფერს იწინასწარმეტყველებ... მთავარია, დაამესიჯონ უცხოეთში მცხოვრებმა ქართველებმა. ყველა კონკურსსა და მომღერალს უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ „ევროვიზია“ სხვა დონის კონკურსია, რომელსაც სამასი მილიონი ადამიანი უყურებს და სადაც ევროპის 38-40 ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენლები მონაწილეობენ.

— **მაგრამ „ევროვიზიას“ ხშირად პოლიტიკურ კონკურსსადაც მოიხარებენ...**

— არანაირად! მთავარია, იყოს კარგი სიმღერა და ხალხს მოსწონდეს. მაგალითად, შარშან, შვედი როვენის პირველ ადგილზე გასვლა პოლიტიკური გამარჯვება იყო? — ყველა ჩართში პირველი ადგილი აიღო... „ევროვიზიაზე“ ხმას მეზობელი ქვეყნები აძლევენ, მაგრამ ყოველთვის მაინც საუკეთესო იმარჯვებს.

**მარიკო ებრალიძე, მომღერალი:**

— ბავშვობიდან ვმღერი... მშობლებმა დაინახეს, რომ მუსიკალური ნიჭი მქონდა და გადამწყვეტეს, პროფესიული განათლება მიმეღო. დავამთავრე მუსიკალური შეიქმნილი ფორტეპიანოს, ათწლიანი ვოკალის, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური ხელოვნების ინსტიტუტი ესტრადის, შემდეგ კი, პედაგოგიური ინსტიტუტი ჯაზის, ვოკალის განხრით. სპეციალობით ვოკალისტი, სოლისტი და პედაგოგი ვარ.

— **მარიკო, პირველი წარმატება გახსოვთ?**

— ცნობადი 2008 წელს, რეალითი შოუ „ვარსკვლავების აკადემიით“ გავხდი — პროექტში საპრიზო მესამე ადგილი დავიკავე, რის შემდეგაც მერიის მუნიციპალური ბიგ-ბენდისგან მივიღე შემოთავაზება და დღესაც სოლისტი ვარ. საბედნიეროდ, ურთიერთობა ბევრ ბენდთან მაქვს და ყოფილ პედაგოგებთან უკვე ვთანამშრომლობ.

— **ისეთი შთაბეჭდილება იქნება, რომ ქართულ შოუბიზნესში არაფერი ხდება...**

— მომღერლისთვის ალბომი და კლიპი დიდი ფუფუნებაა, ვისაც ამის საშუალება არ აქვს, საკუთარ თავზე ჩუმად მუშაობს და ცოცხალ ბენდთან მცირე რეპეტიციებს გადის, რათა საინტერესო შეთავაზებისთვის ნებისმიერ დროს მზად იყვნენ. ნამდვილი ხელოვანი მუდამ ზრდის პროცესშია. პირადად მე, აქტიურად ვარ ჩაბმული მუსიკალურ ცხოვრებაში, ახლახან, მქონდა ერთკვირიანი გასტროლი გერმანიაში, სადაც ფონდ „ივენანას“ სამხატვრო ხელმძღვანელმა, თეო ჯორბენაძემ, მომღერალ დიტო ქისიშვილთან ერთად წამიყვანა. კონცერტები გავმართე ფრანკფურტის ერთ-ერთ სარეაბილიტაციო ცენტრში. მასპინძლების თხოვნით, წავიღეთ თუშური და მთის სიმღერები. ორი საკმაოდ ამაღელვებელი კონცერტი ჩატარდა იმიტომ, რომ ქართული თემა განსხვავებულია. ისრაელშიც ვიყავით და ქართული დიასპორის წინაშეც წარვდექით. კონცერტში, რომელიც ლამაზ, ახალაშენებულ, ფემინურულ საქონცერტო დარბაზში გაიმართა, ჩემთან ერთად, სალომე ქათამაძე, სოფო ნიჟარაძე, ნეკა სებისკვერაძე, იქაური, ქართველი ებრაელი მოცეკვავე და მომღერლები მონაწილეობდნენ. საღამოს წამყვანი რუსკა მაყაშვილი გახლდათ. ბევრი ქართული სიმღერა შევასრულეთ და 4 საათის განმავლობაში დარბაზიდან ფეხი არავის მოუცლია, ცრემლმორეულები გვისმენდნენ...



## პატრიარქმა თავდაპირველად მნიშვნელოვანია იქნება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ თავმდაბლობის მნიშვნელობაზე იქადაგა. როგორც უწმინდესმა ქადაგებისას ბრძანა, ხშირად ადამიანი დანაშაულს სჩადის, მაგრამ ამას ვერ გრძნობს, არადა, საკუთარი ცოდვების განცდა ერთადერთი გზა სასუფეველისკენ.

„ხშირია, როდესაც ადამიანი სჩადის ცოდვას და ვერ გრძნობს, რომ ეს ცოდვაა. ლოცვაში წერია — უფალო, მოგვანიჭე განცდაი თვისა ცოდვათა და არა განკითხვა ძმისა ჩვენისა, ეს არის ერთადერთი გზა სასუფეველისკენ. ღმერთმა მოგვანიჭოს განცდაი თვისა ცოდვათა. მაღლით აავსოს თქვენი გული, სული და ხორცი, ბედნიერი აღდგომა გავციენოს უფალმა“, — ბრძანა უწმინდესმა და აღნიშნა, რომ ადამიანებმა მაღლობა უნდა შესწირონ უფალს ყველაფრისთვის, რაც აქვთ, — „ჩვენ უნდა ვმადლობდეთ უფალს ყველაფრისთვის, იმ სიხარულის, მწუხარებისა თუ განსაცდელისთვის, რასაც გვიგზავნის. უნდა გვახსოვდეს, რომ უფალი განსაცდელს გვაძლევს, რათა სულიერად გავძლიერდეთ“.

ქადაგების დასასრულს, პატრიარქმა აღნიშნა, რომ მომავალ შაბათს, მირქმის დღესასწაულთან დაკავშირებით, წირვას სამების საკათედრო ტაძარში 10:00 საათზე ჩაატარებს, პარასკევს საღამოს კი, ასევე, სამებაში ლოცვა 17:00 საათზე დაინიშნა.

„ინტერპრესნიუსი“



## პატრიარქი კირილი პომოსეპსუალაშის ქორწინებას სივილიზაციის საფრთხედ აღიქვამს

კანონები ჰომოსექსუალების ქორწინების შესახებ ადამიანურ ცივილიზაციას საფრთხეს უქმნის, — რუსული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა კირილმა განაცხადა. „რასაკვირველია, მიღებული უნდა იყოს ისეთი კანონები, რომ არაფერში არავის დისკრიმინაცია მოხდეს, თუმცა, უცებ ვიტყვობთ, რომ საუბარია არა სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან კულტურულ დისკრიმინაციაზე, არამედ იმაზე, რაც არასოდეს ითვლებოდა დისკრიმინაციად. საუბარია ადამიანის ინტიმურ ცხოვრებაზე. ჩვენ გვთავაზობენ ცოდვიან გამოსავალს და ამას კანონით ამართლებენ. ადამიანთა მოდგმის ისტორიაში არასოდეს გამოუყენებიათ კანონი ცოდვის გასამართლებლად“, — განაცხადა რუსეთის პატრიარქმა კრემლის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში ლიტურგიის შემდეგ ქადაგებისას.

რუსეთის პატრიარქის თქმით, ღმერთმა ადამიანებს მისცა კანონები, რომელთა დარღვევა ადამიანური ცივილიზაციას დაუღუპავს: „ჩვენ თუ გვიჩნდა, ვიცხოვროთ როგორც ერმა, საზოგადოებამ, საერთო ადამიანური ცივილიზაციით, ვერ გავცვლით ღვთიური კანონების მონოდებას ადამიანურ ყოფაზე“.

„ინტერპრესნიუსი“

კ ა ლ ვ ი ლ ი      ს ტ ა ნ დ ა რ ტ ი      რ თ უ ლ ი      ე ჟ ს კ ე რ ტ ი

|   |   |   |   |   |  |   |   |   |   |   |   |   |  |  |   |   |   |   |   |   |   |   |   |  |   |   |   |   |   |   |   |   |  |   |  |
|---|---|---|---|---|--|---|---|---|---|---|---|---|--|--|---|---|---|---|---|---|---|---|---|--|---|---|---|---|---|---|---|---|--|---|--|
| 6 | 7 | 5 |   |   |  | 3 | 4 | 8 |   | 2 |   |   |  |  |   | 2 | 6 |   |   |   |   |   | 8 |  |   | 7 | 2 | 5 |   |   | 1 |   |  |   |  |
| 4 | 2 | 9 | 8 |   |  |   |   | 9 | 5 |   |   | 6 |  |  |   |   | 4 |   |   | 8 |   |   | 3 |  |   |   |   |   |   |   |   |   |  | 4 |  |
| 2 |   |   |   | 3 |  | 7 |   |   |   | 1 |   |   |  |  |   | 9 |   |   |   |   |   | 2 | 4 |  |   | 9 | 4 | 2 |   |   | 6 | 5 |  |   |  |
|   |   | 1 | 9 | 7 |  |   | 7 | 6 |   | 9 | 2 |   |  |  |   |   | 2 | 1 |   |   |   |   | 6 |  |   |   | 7 | 4 |   |   |   |   |  |   |  |
| 1 | 5 | 6 |   |   |  |   |   |   |   |   |   |   |  |  | 4 |   |   | 5 |   |   |   | 9 |   |  | 6 | 1 | 8 | 3 | 7 |   | 4 | 2 |  |   |  |
| 3 | 9 | 4 |   |   |  | 1 | 9 |   |   | 5 | 4 |   |  |  | 3 |   |   |   | 4 | 1 |   |   |   |  |   |   |   |   |   | 6 | 8 |   |  |   |  |
|   | 3 |   |   | 9 |  |   |   | 5 |   |   |   | 3 |  |  | 4 | 1 |   |   |   |   | 9 |   |   |  | 3 | 7 |   |   | 5 | 2 | 1 |   |  |   |  |
| 9 | 8 | 6 | 1 |   |  | 6 |   | 8 | 9 |   |   |   |  |  | 7 |   | 6 |   |   | 8 |   |   |   |  | 8 |   |   |   |   |   |   |   |  |   |  |
| 6 | 4 |   | 8 |   |  |   | 2 |   | 7 | 4 | 5 |   |  |  | 5 |   |   |   |   |   | 6 | 4 |   |  |   | 5 |   |   | 2 | 8 | 3 |   |  |   |  |

რესტორანში ლაპარაკი აკრძალულია



თანამედროვე ცხოვრების რიტმი ძალიან სწრაფია და ადამიანებს ხშირად უჩნდებათ სურვილი, ცოტა ხნით მაინც განმარტოდნენ. ამ მხრივ კაფეს ან რესტორნის არჩევა ჭკვიანური იდეა არ არის, მაგრამ არსებობს გამონაკლისი — აშშ-ს ერთ-ერთ მეგაპოლისში მდებარეობს დაწესებულება მათთვის, ვისაც სადილობა სიჩუმეში სურს. რესტორანს „ჭამა“ ჰქვია, რომლის კლიენტები საერთოდ არ საუბრობენ. არ აქვს მნიშვნელობა, რესტორანში მარტო მიხვალთ თუ მეგობრებთან ერთად, მაგიდასთან ყველა ჩუმად უნდა იჯდეს. „როდესაც ჩვენი მზარეულები ასეთ გემრიელ კერძებს ამზადებენ, რატომ უნდა დაკარგო დრო საუბარში?“ — კითხულობს დაწესებულების მფლობელი და მართალიცაა — რესტორანი კლიენტთა ნაკლებობას არ უჩივის, თუმცა იქ ყოველთვის სამარისებური სიჩუმეა.

ბედნიერ ქონებებსა და სხამეფი სქიშდება?



აშშ-ს ერთ-ერთი უნივერსიტეტის სწავლულებმა დაადგინეს, რომ მეუღლეები, რომლებიც კვირაში ერთხელ მაინც სვამენ ერთად ალკოჰოლურ სასმელს, გაცილებით ბედნიერები არიან, ვიდრე სრულიად „ფიზიკური“ წყვილები. გამოკვლევაში 1500 ოჯახური წყვილი მონაწილეობდა და შედეგად აღმოჩნდა, რომ სუსტი სქესის ის წარმომადგენლები, რომლებიც თუნდაც კვირაში ერთხელ მეუღლესთან ერთად სვამდნენ, უფრო ბედნიერები არიან ვიდრე ისინი, ვინც საერთოდ არ ეკარება სასმელს. ასე რომ, საბოლოოდ დადასტურდა — „მსმელი“ წყვილების 91% ბედნიერია.

ჩინეთში მხოლოდ ჭკვიანები დაიბადებიან


ჩინელებმა პროგრამა შეიმუშავეს, რომელიც უახლოეს მომავალში მედიკოსებს საშუალებას მისცემს, ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის პერიოდში დაადგინონ ბავშვის ინტელექტუალური შესაძლებლობები. ამ ანალიზის ჩასატარებლად ჩვილის დნმ იქნება საჭირო, ახალი მეთოდით კი ჩინეთი ერის გენოფონდის გაუმჯობესებას ცდილობს. კვლევის საწყის ეტაპზე სწავლულები განსაკუთრებული მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანის დნმ-ის კოდს ჩვეულებრივ გენოტიპს შეადარებენ და სხვაობას შეისწავლიან, ეს მეთოდი, მომავალში, ემბრიონის ანალიზისთვის დაინერგება, რომელიც ბავშვის გონებრივ შესაძლებლობებს დაბადებამდე დაადგენს. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მათი ანალიზი 60%-იანი სიზუსტის გარანტიას იძლევა და იმედოვნებენ, რომ გენოფონდის გაუმჯობესების მიზნით შექმნილი პროგრამა ქვეყნის დემოგრაფიულ პოლიტიკას შეცვლის.



ნინა ნოზარუი გასული სკანოკრდისა და სუდოკუს პასუხები

|   |   |   |   |
|---|---|---|---|
| კ ა ლ ვ ი ლ ი   | ს ტ ა ნ დ ა რ ტ ი   | კ ა ლ ვ ი ლ ი   | ს ტ ა ნ დ ა რ ტ ი   |
| 9 8 7 6 5 4 3 2 1<br>3 2 1 7 9 8 6 5 4<br>5 6 4 3 2 1 9 8 7<br>6 1 5 2 4 9 8 7 3<br>8 7 3 1 6 5 4 9 2<br>4 9 2 8 7 3 5 1 6<br>2 5 9 4 3 7 1 6 8<br>1 4 6 5 8 2 7 3 9<br>7 3 8 9 1 6 2 4 5 | 1 8 9 7 4 6 5 3 2<br>7 2 6 5 1 3 9 8 4<br>5 4 3 2 9 8 1 7 6<br>2 1 8 9 6 5 7 4 3<br>6 9 7 4 3 2 8 5 1<br>3 5 4 8 7 1 2 6 9<br>9 7 2 3 8 4 6 1 5<br>4 6 5 1 2 7 3 9 8<br>8 3 1 6 5 9 4 2 7 | 4 8 7 5 9 3 6 2 1<br>1 5 6 4 2 7 3 9 8<br>3 2 9 1 8 6 7 5 4<br>6 4 5 9 3 2 1 8 7<br>2 3 1 8 7 5 4 6 9<br>9 7 8 6 1 4 5 3 2<br>8 1 4 3 6 9 2 7 5<br>7 9 3 2 5 1 8 4 6<br>5 6 2 7 4 8 9 1 3 | 4 1 9 2 6 7 3 8 5<br>2 8 6 5 9 3 1 7 4<br>7 5 3 1 4 8 2 9 6<br>9 7 2 6 5 1 8 4 3<br>8 3 1 7 2 4 6 5 9<br>5 6 4 3 8 9 7 2 1<br>3 4 8 9 1 2 5 6 7<br>6 9 7 8 3 5 4 1 2<br>1 2 5 4 7 6 9 3 8 |
| რ თ უ ლ ი   | ე ჟ ს კ ე რ ტ ი   | რ თ უ ლ ი   | ე ჟ ს კ ე რ ტ ი   |
| 8 2 4 1 9 7 3 6 5<br>6 5 3 8 4 2 7 1 9<br>7 1 9 6 5 3 2 4 8<br>3 4 2 9 7 6 5 8 1<br>1 9 7 5 3 8 4 2 6<br>5 8 6 4 2 1 9 3 7<br>4 3 1 7 8 5 6 9 2<br>2 7 8 3 6 9 1 5 4<br>9 6 5 2 1 4 8 7 3 | 9 2 8 5 6 1 7 4 3<br>4 3 1 2 7 9 8 5 6<br>7 6 5 4 3 8 2 9 1<br>8 5 4 6 2 7 3 1 9<br>3 1 2 9 8 5 6 7 4<br>6 9 7 1 4 3 5 2 8<br>5 8 6 7 1 4 9 3 2<br>2 4 9 3 5 6 1 8 7<br>1 7 3 8 9 2 4 6 5 | 8 9 1 5 7 6 4 3 2<br>3 7 2 4 1 9 6 8 5<br>6 5 4 8 3 2 1 9 7<br>7 8 5 3 9 1 2 6 4<br>4 6 3 7 2 8 5 1 9<br>2 1 9 6 5 4 8 7 3<br>5 3 8 2 6 7 9 4 1<br>1 4 7 9 8 5 3 2 6<br>9 2 6 1 4 3 7 5 8 | 5 9 3 4 6 8 2 7 1<br>7 2 4 1 9 5 8 3 6<br>6 1 8 7 3 2 5 9 4<br>8 5 2 6 7 1 3 4 9<br>1 4 9 8 5 3 7 6 2<br>3 7 6 2 4 9 1 8 5<br>4 6 5 3 2 7 9 1 8<br>2 8 7 9 1 6 4 5 3<br>9 3 1 5 8 4 6 2 7 |

- მე-13 გვერდი: 1. ვინჩესტერი; 2. ვაზი-სუბანი; 3. ვასიუკი; 4. ნერონი; 5. ესაძე; 6. ტვინი; 7. ზაფხული; 8. სოლიტერი; 9. ბეატრიჩე; 10. ნეტო; 11. ფსორიაზი; 12. ალდონსა; 13. ტორეადორი; 14. ბუღბუღი; 15. ფოლიანტი; 16. ანიკა; 17. ილინოისი; 18. ამბიცია; 19. მულინე; 20. პუანტები; 21. კლიო; 22. რალი; 23. იანი; 24. უსტარი; 25. ორე; 26. რიჩი; 27. სი; 28. ომერტა; 29. დია; 30. ბალატონი; 31. დიკენსი; 32. აგუნა; 33. ლაბადა; 34. ტორტი; 35. ნეაპოლი; 36. სომი; 37. დაირა; 38. სიდრი; 39. ნიასა; 40. ნეო; 41. ლასო; 42. ნადი; 43. სიო; 44. სინი; 45. ლიბერია; 46. ტაპიორი; 47. რიო; 48. ეტალონი; 49. არა; 50. ოვიედო; 51. აისი; 52. ფა; 53. ჰავაი; 54. მარადია; 55. ნორიო; 56. ასა; 57. ვარიანი; 58. ტორსიდა; 59. იფი; 60. დოჰიო; 61. ისლა.



|  |   |   |   |   |   |
|--|---|---|---|---|---|
| 1. სამხედრო ავიაციის წარმოების ქარხანები                 | 2. გერმანიის პარლამენტი II მოწვევის ომამდე                      | 3. განცხადება ვინმეს გარდაცვალების შესახებ                                | 4. ისტორიული ციხე-ქალაქი ჯავახეთში            | 5. ებრაელთა შვიდსაბათობა                | 6. რუსული მუსიკის კლასიკოსი                     |
| 7. სმელთაშუა ზღვის ყურე                                  | 8. მომღერალთა გუნდი   | 9. საკურორტო სოფელი თბილისთან   | 10. ისტორიის შეტევა                           | 11. ყელის ინფექციური დაავადება          | 12. კოლონიალიზმის მონადირე ბერძნული მითოლოგიაში |
| 13. ჭადრაკის ფიგურები, თავისებურად მოწინააღმდეგის მეფეზე | 14. სპეც. ნივთიერებით გააღებული მუცარი                          | 15. მარი საწვევი მასალა   | 16. აშშ-ს კინოკამერის პრიზი                   | 17. იემენის დედაქალაქი                  | 18. თეთმფრინ. ასაფრენი დასაფრენი ტერიტორია      |
| 19. კორეული ავტომობილა                                   | 20. გაუმთავარი ყვავილი  | 21. XVII-XVIII სს-ის პირველი ნახევრის მხატვრული სტილი ევროპულ ხელოვნებაში | 22. ხმამაღლა დაკრის ალმხმინველი ტურ. მუსიკაში | 23. ტიპოგრაფიული ხარი                   | 24. ფრანგი ფერმწერი                             |
| 25. საქართველოს საპორტო ქალაქი                           | 26. ძველი ეგვიპტის მკვებელი ტიტული                              | 27. ბარბადოსელი მომღერალი ქალი  | 28. ნაპოლეონის მარშალი                        | 29. იტალიური ვრამუტი                    | 30. თავისუფლების ქანდაკების ავტორი              |
| 31. მეცნიერება თიფის ლუღში ჭურჭის მოძრ. შესახებ          | 32. გერმანიის ფიზიკოსი  | 33. ყველაზე პატარა თითი   | 34. უკრაინული აქლები                          | 35. „მავთის“ ბარათი                     | 36. შპს ღმერთი ძველ ეგვიპტეში                   |
| 37. წინაზრადი ცხოველის თავზე                             | 38. წმინდა ღმერთის ძეგლი  | 39. სავანის რელიგიური ცენტრი  | 40. დიდი ზომის მღრღნელი                       | 41. „ალიგატორის მსხალი“                 | 42. ძველებური სატურნიშო მუშები                  |
| 43. მდინარე ყაზახეთში                                    | 44. კავალრთან მოცეკვლე ქალი                                     | 45. თავისუფალი ფორმის ნარკვევი  | 46. ძიუდოს შემქმნელი ძიგორო ...               | 47. შხარე იმერეთში                      | 48. ავსტრიის ერთ-ერთი რეგიონი                   |
| 49. რუსი ფერმწერი ნიკოლოზ ...                            | 50. პოტალი კლდე   | 51. შვედი საფეხბურთო მოწვე. ... გორან ერიქსონი                            | 52. პატარა ყუთი ასანთის ან სიგარეტისათვის     | 53. რეკონსტრუქციის ტექნიკა              | 54. მემკვიდრეობის უძველესი ძეგლი                |
| 55. ერთ-ერთი მდგომარეობა ჭიდაობაში                       | 56. ერთი მხრიდან შეზღუდული და მეორედან შეზღუდული მოთხრობის ტიპი | 57. ერთ-ერთი პოპ-კომპოზიტორი  | 58. ვარსკვლავიერი მანძილის სავ. ერთეული       | 59. მხედველობის ორგანო                  | 60. სოფლის ან ქალაქის ნაწილი                    |
| 61. გარეული ღორი   | 62. გერმანიის სამრეწველო რეგიონი                                | 63. ფსიქიკური აშლილობის ფორმა   | 64. გარეული ფორმა                             | 65. კარლ მარქსის მშობლიური ქალაქი       | 66. აგავასებრთა ოჯახის მარადმწვანე მცენარე      |
| 67. სამოას დედაქალაქი                                    | 68. ისტორიული მხარე საქართველოში                                | 69. კედლის საყრდენი ლოდი საძირკველში                                      | 70. ცეცხლის მნათი ნაწილი                      | 71. ავსტრიელი ავტომობილის დამამართებელი | 72. უფლისწულის ალმხ. „სიბრძნე-სიცრუისა“-ში      |
| 73. ბორჯომის ლეგენდა შესაძენი რელიგიაში                  | 74. ციხე სადაც გრაფი მონტე-კრისტო იჯდა                          | 75. ბარაკობის ძაღლის სახელი   | 76. რომის და ჯულიეტას ქალაქი                  | 77. მკვდლის სამოსელის ნაწილი            | 78. ფარი, ლაშქარი ძვ. ქართულში                  |
| 79. სანდრა რულოუსის წინამორბედის სახელი                  | 80. ნაბიჯი კლასიკურ ცეკვაში                                     | 81. მამალი კვიცი  | 82. ჩეხეთის ეროვნული გმირი ... პუსტი          | 83. სოფელი ონის რაიონში                 | 84. აშშ-ს შტატი                                 |
| 85. პალმის სახეობა                                       |   |   |   |   |   |

# ყავაზე დამოკიდებულება ამ იყონება

მსოფლიოში პოპულარული სასმელი — ყავა და ჩაი არც ისე უხვებელია და სჯობს, მათ მიმართ დამოკიდებულება შეეცვალოს, — აცხადებენ ამერიკელი მეცნიერები. კოფეინი გავრცელებულ ნარკოტიკადაა აღიარებული მაგრამ ექიმებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, როგორ იკურნება „კოფეინდამოკიდებულება“. ოკეანისგალმელმა მკვლევარებმა ისიც დაადგინეს, რომ ამგვარ დამოკიდებულებას უამრავი ადამიანი განიცდის და თუკი დიდი ხნის განმავლობაში ვერ იღებენ კოფეინის შემცველ სასმელს, დგება პროცესი, რომელიც სრულფასოვან „ლომკას“ შეიძლება შევადაროთ. ასეთ ადამიანებს არათუ არ შეუძლიათ, უარი თქვან კოფეინზე, არამედ მისი მოხმარების შემცირებაც კი არ ძალუძთ. სწავლულები ამტკიცებენ, რომ კოფეინი ყველაზე ურთხიარად არ მოქმედებს — ბევრი ადამიანი ყავის სმით თავს არაფერს ვნებს, ზოგისთვის კი სუსტი ჩაიც მავნებელია. ამ სასმელს შეუძლია სერიოზული ფიზიკური დამოკიდებულება გამოიწვიოს, რაც ორგანოების ნორმალურ ფუნქციონირებას უშლის ხელს. ექსპერტები აცხადებენ, რომ მოზრდილმა ადამიანმა დღეში 400 გრამზე მეტი კოფეინი არ უნდა მიიღოს.







ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

|   |   |   |   |   |   |   |   |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 |   |   |   | 2 |   |   | 8 |
|   |   | 8 |   | 9 | 3 |   | 1 |
|   |   |   |   | 6 |   | 4 | 7 |
| 5 |   |   |   |   |   | 8 | 6 |
|   |   |   |   |   |   |   |   |
| 9 | 7 |   |   |   |   |   | 1 |
| 8 |   | 4 |   | 3 |   |   |   |
|   | 6 |   | 9 | 8 |   | 5 |   |
| 3 |   |   | 4 |   |   |   | 9 |

|   |   |   |   |   |   |   |   |
|---|---|---|---|---|---|---|---|
|   |   |   | 6 | 9 |   | 4 | 2 |
|   | 5 |   |   | 3 | 1 |   | 6 |
| 8 |   |   |   |   |   |   |   |
| 7 |   | 2 | 5 |   |   |   |   |
|   | 3 |   |   |   |   | 6 |   |
|   |   |   |   |   | 3 | 9 | 7 |
|   |   |   |   |   |   |   | 4 |
| 5 |   |   | 2 | 7 |   |   | 8 |
|   | 2 | 3 |   | 1 | 8 |   |   |

|   |   |   |   |   |   |   |   |
|---|---|---|---|---|---|---|---|
|   |   |   |   |   |   |   | 1 |
| 4 |   |   | 1 |   |   | 8 | 7 |
|   | 9 | 5 |   |   |   | 6 |   |
|   |   | 4 | 8 | 3 |   | 7 |   |
| 7 |   |   | 6 | 1 | 4 |   | 2 |
|   | 8 |   |   | 7 | 5 | 4 |   |
|   | 9 |   |   |   |   | 5 | 8 |
| 2 |   | 1 |   |   | 8 |   | 6 |
|   | 4 |   |   |   |   |   |   |

|   |   |   |   |   |   |   |   |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 4 |   |   | 3 | 1 |   |   |
| 1 |   | 8 |   | 7 | 4 |   | 5 |
|   |   |   |   |   | 8 |   |   |
|   | 3 | 4 |   |   |   |   |   |
|   | 8 | 7 |   | 5 |   | 3 | 1 |
|   |   |   |   |   |   | 4 | 2 |
|   |   |   | 9 |   |   |   |   |
|   |   | 5 |   | 7 | 3 | 2 | 6 |
|   |   |   | 8 | 6 |   |   | 7 |



ყვედაზე სასარგებლო სასმედი

დიეტოლოგებმა იმ სითხის სია შეადგინეს, რომელიც სასიკეთო გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ამიტომ მუდამ უნდა იყოს ჩვენს რაციონში:

პირველ ადგილზე სასმელი წყალი აღმოჩნდა, რომელიც უჯრედებს ავსებს ჟანგბადით და აახლებს მათ. სიმსუქნე და ნაადრევი დაბერება არ გემუქრებათ, თუ რეგულარულად სვამთ წყალს.

პიტნის ჩაი — დალილობა, ცუდი ძილი, საჭმლის მონელება... ეს არასრული ჩამონათვალაა იმ პრობლემებისა, რომელსაც ეს სასმელი ადვილად მოაგვარებს. მესამე საფეხური დაიკავა მწვანე ჩაი — მის სასარგებლო თვისებებზე ბევრია ნათქვამი — ფლავონოიდები და ანტიოქსიდანტები დადებითად მოქმედებს გულსისხლძარღვთა სისტემაზე და ორგანიზმს იცავს ონკოლოგიური დაავადებებისგან. სოიოს რძეში ჭარბადაა ამინომჟავები, რომელიც ორგანიზმს ქოლესტერინისგან წმენდს, უცხიმო რძე კი კალციუმს, „დე“-ვიტამინსა და ცილების დიდი რაოდენობის შემცველობით გამოირჩევა.

ლიკოპინის წყალობით, რომელსაც სიმსივნის საწინააღმდეგო თვისებები აქვს, ტომატის წვენიც შესაფერის ადგილს იკავებს ტობ-ათეულში, შემდეგი კი ფორთოხლის წვენი, რომელიც ხსნის დალილობას და იმუნიტეტს აძლიერებს. კაკაო და ცხელი შოკოლადი ადვილად უმკლავდება თავისტიკვილს და განწყობასაც აუმჯობესებს. ყველაზე სასარგებლო სასმელის საუკეთესო ათეულს კი ვიტგრასი ასრულებს, რომელსაც ხორბლისგან ამზადებენ და ის მდიდარია მინერალებით, ვიტამინებითა თუ ანტიოქსიდანტებით.

„ლანიქის“ გამო ციხეში მოხვდა

ქალაქ მემფისის მცხოვრები მამაკაცი ციხეში მხოლოდ იმის გამო მოხვდა, რომ სოციალურ ქსელში „დალაიქა“ ვიდეო, რომელიც მისი ყოფილი საყვარლის კედელზე იყო ატვირთული, თუმცა არც უფიქრია, რომ სასამართლომ ამ ქალთან მიახლოება, აუკრძალა. ტადეუშ მეთიუზსა და როვანა მერფის რომანი ჰქონდათ, რომელიც სასამართლო პროცესით დასრულდა. როცა ქალმა შენიშნა, რომ ექსპარტნიორს მის გვერდზე განთავსებული ვიდეო მოეწონა, დაუყოვნებლივ გაიქცა პოლიციაში და შედეგად, ტადეუში დააპატიმრეს სასამართლოს დადგენილების დარღვევის გამო.



შეჯამებული დასაშორებლად ეასუქლა

დიდი ბრიტანეთის მცხოვრები ლუიზა მაკელბინი სპეციალურად იმატებდა წონაში, შეეყვარებულს რომ დაშორებოდა. ეს „ოცნება“ რომ აესრულებინა, ლონდონელი ქალბატონი რეგულარულად იღებდა მაღალკალორიულ და არაჯანსაღ საკვებს, რის შედეგადაც მისმა წონამ 114 კილოგრამს მიაღწია. ლუიზა აცხადებს, რომ ახალგაზრდობაში ყოველთვის მოხდენილი აღნაგობა ჰქონდა, ბედნიერი და თავდაჯერებული იყო, მაგრამ ერთი ბიჭის გამო ყველაფერი შეიცვალა. საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნოდი, — ამბობს ქალი და აღიარებს, დიდი ხნის ნანატრი დაშორების შემდეგ ფორმაში ჩადგომა საკმაოდ გაუჭირდა — მაღალ ქუსლებზე შედგომისა და ლამაზი კაბების ჩაცმის იმედი აღარც კი ჰქონდა, მაგრამ კვების მკაცრი რეჟიმის შემდეგ, ლუიზამ ფორმის აღდგენა მაინც მოახერხა.



გადალილობა — საუკუნის სენი

დაძაბულობა და გადალილობით გამოწვეული დაავადებები ადამიანების გარდაცვალების მიზეზი სულ უფრო ხშირად ხდება. დატვირთული სამუშაო გრაფიკით გამოწვეული სტრესი, შესაძლოა, ინფარქტითაც დამთავრდეს. „მუშაობით გადამწვართა“ რაოდენობა წინეთში, ყოველწლიურად, ნახევარ მილიონს აღემატება. სტატისტიკა მოწმობს, რომ ყოველწლიურად, გადალილობის გამო, 600 ათასზე მეტი ადამიანი კვდება. უმრავლესობა, სტრესის გამო, ექიმთან არ მიდის, მაგრამ თუ პრობლემას თავად ვერ უმკლავდებიან, აუცილებლად პროფესიონალებს უნდა მიმართონ, — აცხადებენ მედიკოსები და აქტიურად მომუშავე მოქალაქეებს ურჩევენ, დაძაბულობა მარტივი ფიზიკური ვარჯიშითა და კომპიუტერთან მუშაობისას რეგულარული შესვენებით მოიხსნან.



ელექტრომოკი მესხიერებსა წაშლის?

მეცნიერები გვარწმუნებენ, რომ ელექტრომოკის თერაპიით ტვინიდან ცუდი მოგონებების წაშლა შესაძლებელია და მედიკოსებს საშუალება მიეცემათ, განკურნონ ძლიერი დეპრესია. ნეიმეგენის უნივერსიტეტის სპეციალისტები დაკვირვებას 42 პაციენტზე აწარმოებდნენ, რომელთაც უნიკური დეპრესიის მკურნალობისთვის სწორედ ელექტრომოკი დაუნიშნეს — სლაიდ-მოუმი ორი სტრესული ამბავი დააფიქსირეს, რომელიც პაციენტებს სიმშვიდეს უკარგავდა — ავტოავარია და ფიზიკური ძალადობა. მკურნალობის პირველსავე დღეს, როცა ექსპერიმენტის მონაწილეებს ამ ამბავის ეპიზოდის გახსენება სთხოვეს, უმეტესობამ ვერაფერი გაიხსენა, ნაწილმა კი მხოლოდ ბუნდოვანი კადრები აღიდგინა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ტკივილს აღარ გრძნობდნენ და ისეთი განცდა ჰქონდათ, რომ რალაციისგან გათავისუფლდნენ. ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ ელექტრომოკური თერაპია პროცესს გარკვეული დროით ბლოკავს, თუმცა სწავლულები აღნიშნავენ, რომ ეს ძალიან ფაქიზი თემაა და თერაპიის დანერგვა მხოლოდ მისი შესწავლის შემდეგ შეიძლება.

